თანხმობა პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების შესახებ

მე, ვმოქმედებ რა თავისუფლად, ჩემი საკუთარი განზრახვებისა და ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების თანახმად, ამით ვაცხადებ თანხმობას, რომ ჩემი პერსონალური მონაცემები (შემდგომში – პერსონალური მონაცემები) შეგროვდეს და დამუშავდეს შპს **"მონდელიზ საქართველო"-ს** მიერ - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი; მისამართი: საქართველო, 0186, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №70, მე-5 სართული; ს/კ 404894575 (შემდგომში „ორგანიზატორი") - სარეკლამო, მარკეტინგული და PR აქტივობების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ეს თანხმობა გაცემულია შემდეგი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე: გვარი, სახელი, მამის სახელი და საკონტაქტო მონაცემები (ელექტრონული ფოსტის მისამართი და მობილური ტელეფონის ნომერი).

თანხმობას ვაძლევ ორგანიზატორს, რათა ჩემი პერსონალური მონაცემების მიმართ განხორციელდეს შემდეგი მოქმედებები როგორც ავტომატიზებული, ისე არა-ავტომატიზებული (ავტომატიზაციის საშუალებების გარეშე) და კომბინირებული დამუშავების გზით: პერსონალური მონაცემების შეგროვება, ჩაწერა, სისტემატიზაცია, დაგროვება, შენახვა, დაზუსტება (განახლება და ცვლილება), დამატება, გამოყენება, ამოღება, გავრცელება, ანონიმიზაცია, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება, ასევე, მათი გადაცემა საზღვარგარეთ, უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე და ჩემი პერსონალური მონაცემების მიმართ ნებისმიერი სხვა მოქმედების განხორციელება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

ამასთან, ვეთანხმები, რომ ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად (პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვისა და მათი დამუშავების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობებში) ჩემი პერსონალური მონაცემები შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, მათ შორის (და არა მხოლოდ), Mondelēz International კომპანიის ჯგუფის წევრებსა და სხვა პირებს/სუბიექტებს, რომლებიც ორგანიზატორის დავალებით ახორციელებენ პერსონალური მონაცემების დამუშავებას, მათ შორის, პერსონალური მონაცემების საზღვარგარეთ გადაცემის შემთხვევაში.

ეს თანხმობა გაცემულია და ძალაში რჩება ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევამდე ან ჩემს მიერ მისი გაუქმებამდე. თანხმობა შეიძლება ჩემს მიერ გაუქმდეს მისი მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს ორგანიზატორის ელექტრონულ მისამართზე (consumercareeua@mdlz.com) მისი გაუქმების შესახებ წერილობითი განცხადების გაგზავნის გზით.

თანხმობის გაუქმების შემთხვევაში, ორგანიზატორი ვალდებულია შეწყვიტოს პერსონალური მონაცემების დამუშავება ან უზრუნველყოს ასეთი დამუშავების შეწყვეტა (თუ პერსონალური მონაცემები მუშავდება სხვა პირის/სუბიექტის მიერ ორგანიზატორის დავალებით) და გაანადგუროს პერსონალური მონაცემები ან უზრუნველყოს მათი განადგურება (თუ პერსონალური მონაცემები მუშავდება სხვა პირის/სუბიექტის მიერ ორგანიზატორის დავალებით) თანხმობის გაუქმების მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ორგანიზატორს შეუძლია პერსონალური მონაცემების დამუშავება პერსონალური მონაცემების სუბიექტის თანხმობის გარეშე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის ან საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ვაცნობიერებ, რომ ჩემს მიერ თანხმობაზე უარის ან პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე გაცემული თანხმობის გაუქმების შემთხვევაში, ორგანიზატორის მიერ შესაბამისი დამუშავების მიზნის მიღწევა შესაძლოა შეფერხდეს ან შეუძლებელი გახდეს.